ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამა

გიორგი წულაია

ოჯახში დამკვიდრებული გენდერული როლების კვლევა ჟურნალ “Parents”-ის დიზაინის მაგალითებზე

ნაშრომი შესრულებულია სოციოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელები: კახა ქეცბაია, ამირან ბერძენიშვილი

ასოცირებული პროფესორები

თბილისი, 2024

ანოტაცია

მოცემული კვლევა მიზნად ისახავს ოჯახში დამკვდირებული გენდერული როლების განვითარების დინამიკის ანალიზს ჟურნალ “Parents”-ის დიზაინებზე დაყრდნობით. კვლევის ფარგლებში მოხდა ჟურნალის 100-ზე მეტი ეგზემპლარის გარეკანის მოძიება და გაანალიზება. კვლევამ აჩვენა, თუ როგორ შეიცვალა მამაკაცის გენდერული როლის აღქმა მისი მხოლოდ ინსტრუმენტული, შეზღუდული გაგებიდან მამის თანამედროვე გაგებამდე, რაც გულისხმობს შვილის აღზრდასა და სხვადასხვა მრავალფეროვან ოჯახურ პრაქტიკაში აქტიურად ჩართულ მამაკაცს, რომელსაც თბილი და სასიამოვნო ურთიერთობა აქვს ბავშვებთან, განსხვავებით მანამდე არსებული დისტანცირებული და ფორმალური ინტერაქციისაგან. ნაშრომის ფარგლებში ასევე ნათელი გახდა, თუ რა გზა გაიარა ქალის გენდერული როლის გაგებამ დიასახლისობიდან დედის აქტიურ, თამამ, თანამედროვე გაგებამდე, რომელიც დედას ავალდებულებს, წარმატებულად შეუთავსოს ნაყოფიერი კარიერა და ოჯახური ცხოვრება ერთმანეთს.

კვლევის თეორიული ჩარჩო შემოისაზღვრა ჰერბერტ ბლუმერისა და ჯორჯ ჰერბერტ მიდის სიმბოლური ინტერაქციონიზმის პრინციპებით, კერძოდ, კვლევა დაესესხა როლების რეინტერპრეტაციისა და როლის მიღების იდეებს. ასევე, გამოყენებულ იქნა პარსონსის შეხედულებები ოჯახზე (ინსტრუმენტული და ექსპრესიული როლები), როგორც საზოგადოების წონასწორობის გადამწყვეტ ერთეულზე. კვლევა ასევე დაეყრდნო ჯუდით ბატლერის პერფორმატიულობისა და კიმბერლი ქრენშოუს ინტერსექციურობის კონცეფციებს.

Abstract

This research aims to analyze the dynamics of the development of family gender roles based on the designs of "Parents" magazine. As part of the research, more than 100 magazine covers were found and analyzed. The study shows how the perception of the male gender role has changed from its only instrumental, limited understanding to the modern understanding of the father, which implies a man actively involved in raising children and various family practices, who has a warm and pleasant relationship with children, in contrast to the previous distant and formal interaction. Within the framework of the research, it also became clear how the understanding of the gender role of a woman has gone from being a just housewife to an active, bold, modern understanding of the mother, which obliges the mother to successfully combine a effective career and family life together.

The theoretical framework of the study was defined by the principles of symbolic interactionism of Herbert Bloomer and George Herbert Mead, in particular, the study borrowed the ideas of role reinterpretation and role acceptance. Also, Parsons' views on the family (instrumental and expressive roles) as a crucial unit of social balance were used. The study also used Judith Butler's concepts of performativity and Kimberly Crenshaw's intersectionality.

სარჩევი

შესავალი.....,.....5
ლიტერატურის მიმოხილვა.....11
კვლევის შედეგები.....17
დასკვნა.....28
გამოყენებული ლიტერატურა.....31

თავი 1. შესავალი

1.1 საკვლევი პრობლემის აქტუალურობა

დღევანდელ სწრაფად ცვალებად სამყაროში საზოგადოების შემადგენელი ნებისმიერი ასპექტი ელვის სისწრაფით განიცდის მეტამორფოზას, იცვლება და შეიძლება, წინააღმდეგობაშიც კი მოვიდეს საკუთარ ადრეულ მნიშვნელობასთან. თუმცაღა, ამის მიუხედავად, ალბათ, სულ რამდენიმე ცნებამ თუ განიცადა ისეთი არსებითი ტრანსფორმაცია ბოლო ათწლეულების განმავლობაში, როგორც ეს მოხდა გენდერული როლების შემთხვევაში. თუ მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში საქმე გვაქვს მკაცრად განსაზღვრულ ტრადიციულ გენდერულ როლებთან, სადაც მამაკაცი, როგორც ოჯახის ფინანსურ პროვაიდერი, ხოლო ქალი, როგორც მხოლოდ დიასახლისი, ისეა წარმოდგენილი, აღნიშნული ვითარება კარდინალურად იცვლება მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან. მას შემდეგ, რაც ასპარეზზე ფემინისტური და ქალთა განმათავისუფლებელი მოძრაობები გამოჩნდა, მანამდე არსებული მკაცრად შემოსაზღვრული ნორმები ეტაპობრივად იწყებს გადასხვაფერებას. მეოცე საუკუნის ბოლოს ქალი უკვე აქტიურადაა ჩაბმული შრომით ბაზარზე და აღნიშნული სრულიად ცვლის ნუკლეარული ოჯახის იქამდე გაბატონებულ მთელ რიგ დეტერმინანტებს, ვინაიდან უკვე ოჯახის ორივე წევრი ახდენს მატერიალური კაპიტალის შემოტანას. ოცდამეერთე საუკუნეში კი მთელი ეს პროცესი სულ უფრო კომპლექსური ხდება, გენდერული თანასწორობა კი ცხოვრების ნებისმიერ ასპექტში უფრო და უფრო რეალურ სახეს იძენს.

გენდერული როლების შესწავლა სცდება მხოლოდ აკადემიური სივრცის ფარგლებს, იგი გულისხმობს იმ ცვალებადი პარადიგმების ასახვას, რომლებიც აყალიბებენ და განსაზღვრავენ ჩვენს რეალობას. გენდერული როლების შესწავლას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საზოგადოების სტრუქტურების, ინდივიდუალური იდენტობებისა და სოციუმისათვის დამახასიათებელი კულტურული თუ სოციალური ნორმების ამოცნობაში. მაგალითისთვის, გენდერული როლები ფუნდამენტურ როლს თამაშობს ოჯახის, როგორც სოციალური ინსტიტურის განვითარების საქმეში.

გენდერული როლების ცვლილება პირდაპირაა დაკავშირებული გასულ ათწლეულებში ოჯახის ამა თუ იმ ტიპის დამკვიდრებასთან და ტრადიციული ნუკლეაური ოჯახის ჰეგემონიის შეწყვეტასთან. გენდერულ როლებს ასევე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს საზოგადოების ეკონომიკური ასპექტის ჭრილშიც. შრომის დანაწილება, ხელფასის უთანასწორობა, თუ ეკონომიკური შესაძლებლობების არათანაბარი ხელმისაწვდომობა ხშირად ნაკარნახევი სწორედ გაბატონებული გენდერული ნორმებითაა. გენდერულ როლებთან დაკავშირებულმა მოლოდინებმა შეიძლება დიდი როლი ითამაშოს ინდივიდების ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზეც კი. ამას გარდა, გენდერული როლები გავლენას ახდენს ინდივიდების საგანმანათლებლო და კარიერულ არჩევანზეც და ა.შ. ერთი სიტყვით, როგორც უკვე აღვნიშნე, გენდერული როლების შესწავლა - ეს არაა მხოლოდ თეორიული კვლევა-ძიება, რომელიც აკადემიურ ფარგლებშივე რჩება, არამედ, გენდერული როლების შესწავლა გულისხმობს იმ საკითხებისა და პრობლემების ანალიზს, რომელიც დგას აქ და ახლა, საზოგადოების განვითარების ამ ეტაპზე. ამას დამატებული, გენდერული როლების შესწავლა გადაჯაჭვულია გენდერული თანასწორობისკენ სწრაფვასთანაც. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში გენდერული დისკრიმინაცია, შესაძლებლობების არათანაბარი წვდომა და ძალაუფლების არაპროპორციული განაწილება კვლავაც მწვავე პრობლემაა. გენდერული როლების ისტორიული და თანამედროვე დინამიკის გაგება კი წინ გადადგმული ნაბიჯია ამ უთანასწორობის აღმოსაფხვრელად და უფრო სამართლიანი საზოგადოების შესაქმნელად, რომელიც ემსახურება ყველა ადამიანის უფლებებისა და ღირსებების თანაბრად რეპრეზენტირებას, განურჩევლად მათი სქესისა. აქედან გამომდინარე, გენდერული როლების შესწავლას უაღრესად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება თანამედროვე სოციოლოგიაშიც.

ანალიზის საგნად ჟურნალი „Parents“ იმიტომ ავირჩიე, რომ იგი ბავშვის აღზრდასა და ოჯახური ცხოვრების სფეროში ალბათ ყველაზე გამოჩენილი პუბლიკაციაა. „Parents” თითქმის ასწლოვანი ისტორია აქვს, ის 1926-2022 წლებში გამოიცემოდა აშშ-ში და მილიონობით მკითხველი ჰყავდა. უნდა აღვნიშნოთ, რომ ჟურნალის თავდაპირველი სახელწოდება იყო „Children, The Magazine for Parents”, ხოლო 1929-1978 წლებში ჟურნალს “Parents’ Magazine” ერქვა. პუბლიკაციამ ფეხი აუწყო დროებას და დღესდღეობით

„Parents“ ონლაინ ვებსაიტის მეშვეობით აგრძელებს საქმიანობას. “Parents” უაღრესად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ოჯახში გენდერულ როლებთან დაკავშირებული საზოგადოების ნორმების, ღირებულებებისა და მოლოდინების ჩამოყალიბებასა და განმტკიცებაში, ვინაიდან ჟურნალის ძალზე ფართო აუდიტორია ვრცელდებოდა არამხოლოდ მშობლებსა თუ აღსაზრდელებზე, არამედ პოლიტიკის შემქმნელებზეც. ჟურნალის გარეკანები შეიძლება განვიხილოთ, როგორც ოჯახში გაბატონებული გენდერული ნორმებისა და ღირებულებების ვიზუალური წარმოდგენა. ვფიქრობ, “Parents”-ის დიზაინის ანალიზით, ძალიან საინტერესო კვლევის ჩატარებაა შესაძლებელი, რომელსაც, გარკვეულწილად, ერთგვარი დროში მოგზაურობა შეგვიძლია დავარქვათ, რა დროსაც დავაკვირდებით, როგორ იცვლებოდა ათწლეულების მანძილზე ოჯახში დამკვდირებული გენდერული როლები, თვითონ ოჯახის ტიპები და საერთოდ, გაბატონებული სოციალური ნორმები.

1.2 კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანს წარმოადგენს ოჯახში დამკვიდრებული გენდერული როლების შესწავლა ჟურნალ “Parents”-ის დიზაინის მაგალითებზე.

დასახული მიზნის მისაღწევად კი დასმულია შემდეგი ამოცანები:

1) ვიკვლიოთ, თუ როგორაა ტრადიციული ოჯახის გენდერული როლები წარმოდგენილი ჟურნალის გარეკანებზე დროის სხვადასხვა პერიოდში;
2) შევისწავლოთ, თუ როგორაა რეპრეზენტირებული “Parents”-ის გარეკანებზე ოჯახის ტიპების განვითარების დინამიკა;
3) ვიკვლიოთ გენდერულ როლებთან დაკავშირებული ბავშვის აღზრდის პრაქტიკები ჟურნალის დიზაინების მიხედვით.

1.3 კვლევის ჰიპოთეზა

ვფიქრობ, ჟურნალის დიზაინის შესწავლა ნათლად გამოავლენს გენდერული როლების ცვლილების დინამიკას დროთა განმავლობაში და ჟურნალის გვერდებზე ამ

როლების პრიზმაში დავინახავთ საზოგადოების გადასვლას ტრადიციულიდან უფრო მრავალფეროვანი და თანასწორუფლებიანი სოციუმისაკენ. ასევე, ვვრაუდობ, რომ "Parents"-ის გარეკანზე წავაწყდებით ძლიერ კორელაციას სოციოკულტურულ ტენდენციებსა და გენდერული როლების რეპრეზენტაციას შორის. მგონია, რომ მეოცე საუკუნის ბოლოდან ჟურნალის გარეკანებზე სულ უფრო მეტად იქნება გამოსახული ოჯახის არატრადიციული, არანუკლეარული მოდელები, მათ შორის მონომშობლიანი ოჯახები, ლგბტქ+ ოჯახები და შერეული ოჯახები. უფრო ხშირად ექნება ადგილი სხვა რასის, ეთნოსისა და აღმსარებლობის ინდივიდების წარმოჩენასაც. თუმცაღა, ვფიქრობ, რომ გარკვეული გენდერული სტერეოტიპები კვლავ დარჩება "Parents"-ის დიზაინებზე, როგორც საზოგადოების ცნობიერებაში ღრმად ჩაბეჭდილი კონსტრუქტები.

1.4 შერჩევა

კვლევის სამიზნე ჯგუფს წარმოადგენს ჟურნალ "Parents"-ის ყველა ის ნომერი 1926-იდან 2022 წლამდე, რომელზეც გამოსახულია ერთ-ერთი ან ორივე მშობელი (ზოგ ნომერზე მხოლოდ ბავშვებია დახატული). შერჩევა მოხდა მიზნობრივი შერჩევის პრინციპის მიხედვით. სამწუხაროდ, არ არსებობს რაიმე ერთიანი ბაზა ან არქივი, სადაც ჟურნალის ყველა ნომერია ხელმისაწვდომი, ამიტომაც, გავაანალიზე იმ ნომერთა დიზაინები, რომელთა მოპოვებაც შევძელი. ჯამში, კვლევის ფარგლებში მოხდა ჟურნალის 100-ზე მეტი ნომრის დიზაინის ანალიზი.

1.5 მონაცემების მოპოვებისა და ანალიზის მეთოდები

მონაცემების მოპოვებისათვის ძირითადად გამოვიყენე ჟურნალის ოფიციალური ვებ-გვერდი[1]. თუმცაღა, აღნიშნულ ვებ-საიტზე არ არსებობს რაიმე ერთიანი ბაზა, ამიტომ, მონაცემების სიმწირის გამო მომიწია მასალები მომეძებნა სხვა ვებ-გვერდებზეც და პირადი კოლექციონერების ალბომებშიც.

[1] https://www.parents.com/

საკვლევი საკითხის ბუნებიდან გამომდინარე, ცხადია, გადავწყვიტე, გამომეყენებინა ვიზუალური ანალიზის მეთოდი. ვიზუალური სოციოლოგია სოციოლოგიის შედარებით ახალი მიმართულებაა, რომელიც, მნიშვნელოვანწილად, პოლონელი სოციოლოგის, პიოტრ შტომპკას სახელს უკავშირდება. ვიზუალური სოციოლოგია აქცენტს აკეთებს ვიზუალურ ხატებზე, ფოტოსურათებზე და განიხილავს მათ, როგორც სოციალურ ფაქტებს. აღნიშნული ფაქტების ანალიზით კი ცდილობს ახსნას სოციალური მოვლენები. დღევანდელ, ციფრულ სამყაროში, სადაც ფოტოს გადაღება ყოველდღიური ცხოვრების, ფაქტობრივად, შემადგენელ ნაწილად იქცა, სოციოლოოგის ეს მიმართულება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

მთავარი მეთოდი, რომელიც აღნიშნული ნაშრომის ფარგლებში გამოვიყენე, არის ვიზუალური კონტენტ-ანალიზი, იგი რეფლექსიის თეორიას ეყრდნობა და ეფუძნება დაშვებას, რომ ვიზუალური ხატები სოციუმში მიმდინარე პროცესების წარმოდგენას ახდენს (წულაძე, 2020, 331). თუმცაღა, მცირე დოზით, დავესესხე ინტერპრეტაციულ ანალიზსაც, რომლის ამოსავალი წერტილიც სემიოტიკაა (იქვე).

ასევე, გამოვიყენე დისკურსის ანალიზიც, რომელიც აქცენტს აკეთებს დისკურსებზე, როგორც სოციალური ინტერაქციის ფორმებზე და თითოეულ ტექსტში (იქნება ეს წერილობითი, ზეპირი თუ სხვა სახის) ეძებს ფარულ მინიშნებებს, ასე ვთქვათ, დისკურსებს, რომლითაც ავტორი ცდილობს ზემოქმედება მოახდინოს სოციუმზე (წულაძე, 2020, 250).

1.6 კვლევის მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა

მართალი არ ვიქნები, თუ ვიტყვი რომ მოცემული ნაშრომი რაიმე განსაკუთრებული აღმოჩენებით გაამდიდრებს გენდერის სოციოლოგიის მიმართულებას, მაგრამ, მთავარი ღირსება, რომელიც კვლევას აქვს, ალბათ იმაში მდგომარეობს, რომ იგი ვიზუალურ ანალიზს ეფუძნება, რაც, ვფიქრობ, ამ დარგის მკვლევრებს შორის საკმაოდ იშვიათად გამოყენებული მეთოდია.

ნაშრომი ასევე შეიძლება გამოსადეგი აღმოჩნდეს იმ სტუდენტებისთვისაც, რომლებიც ახლა იწყებენ კვლევების ჩატარებას და დაინტერესებული არიან ვიზუალური სოციოლოგიითა და გენდერული როლების თემატიკით.

1.7 კვლევის შეზღუდვები

მოცემული კვლევის მთავარ შეზღუდვად მივიჩნევ ჟურნალის რაიმე ერთიანი არქივის არარსებობას, რამაც განაპირობა, რომ მოპოვებული მონაცემები დროის სხვადასხვა პერიოდისათვის განსხვავებული რაოდენობითაა წარმოდგენილი.

ასევე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ, ვინაიდან "Parents" ამერიკული ჟურნალია და, შესაბამისად, მისი აუდიტორიის აბსოლუტური უმრავლესობაც ამერიკული კულტურის წარმომადგენელია, კვლევის ფარგლებში მიღებული დასკვნები მხოლოდ ამერიკულ საზოგადოებასთან მიმართებაში თუ ჩაითვლება მართებულად. მცდელობის მიუხედავად, ვერ მოვახერხე კვლევის ინტეგრირება ლოკალურ, ქართულ სოციუმთან მომეხდინა.

პლუს, კვლევა მხოლოდ თვისებრივ მეთოდებს ეფუძნება.

თავი 2. ლიტერატურის მიმოხილვა

გენდერული როლები და მათი განვითარების დინამიკა საზოგადოების ფუნქციონირების საკმაოდ მნიშვნელოვანი დეტერმინანტია, რომელიც, თავისი არსით, სოციუმისთვის დამახასიათებელ უამრავ სხვა ასპექტზეც ახდენს გავლენას. ამიტომაცაა, რომ მასზე საუბარი არაერთი სხვადასხვა კლასიკური თუ მოდერნული თეორიის ჭრილში შეგვიძლია. პირველი თეორია, რომელსაც მინდა შევეხო, არის ე.წ. „ჩიკაგოს სკოლის“ პირმშო, ჯორჯ ჰერბერტ მიდისა და ჰერბერტ ბლუმერის შემოთავაზებული სიმბოლური ინტერაქციონიზმი. მოგვეხსენება, სიმბოლური ინტერაქციონიზმი არის სოციოლოგიური პერსპექტივა, რომელიც ფოკუსირდება იმაზე, თუ როგორ ქმნიან და როგორ ინტერპრეტაციას უკეთებენ ინდივიდები სიმბოლოებს. სიმბოლო - ესაა ინსტრუმენტი სამყაროს სოციალური გაგებისთვის. “სელფი - არსებითად, სოციალური სტრუქტურაა, რომელიც ყალიბდება სოციალური გამოცდილებების მეშვეობით“ (Mead, 1934, 140). აღნიშნული გამოცდილებები კი სხვა არაფერია თუ არა სიმბოლოები (როგორიცაა ენა, ჟესტები და საგნები), რომლებიც გადამწყვეტ როლს თამაშობენ ადამიანთა ურთიერთქმედებისა და საზოგადოების ჩამოყალიბებაში. მიუხედავად იმისა, რომ სიმბოლური ინტერაქციონიზმი პირდაპირ არ საუბრობს გენდერული როლების თემაზე, იგი მაინც იძლევა ღირებულ ჩარჩოს იმის გასაგებად, თუ როგორ არის გენდერული როლები სოციალურად კონსტრუირებული და მუდმივად ცვალებადი სიმბოლოების, ენისა და ინტერპერსონალური ურთიერთქმედებების მეშვეობით.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, სიმბოლოებს გადამწყვეტი როლი აქვს კომუნიკაციებისა და მნიშვნელობების შესაქმნელად. ესა თუ ის სოციალური აქტივობა თუ სოციალური როლები ხშირად გადმოცემული და განმტკიცებულია ისეთი სიმბოლოების საშუალებით, როგორიცაა ტანსაცმელი, ენა და ჟესტები (Blumer, 1969, 79). არსებობს გარკვეული ჟესტები, ფრაზები, ქცევის ნორმები თუ გამოხატვის ფორმები, რომლებიც ექსკლუზიურად ქალებს ან მამაკაცებს მიეწერებათ. როდესაც საზოგადოება ვითარდება, შეიძლება შეიცვალოს ის ეტიკეტი და მოლოდინები, რომლებიც დაკავშირებულია ტრადიციულ გენდერულ როლებთან. მაგალითად, გარკვეული ქცევები და

ინტერაქციები, რომლებიც ოდესღაც ექსკლუზიურად ერთ სქესთან იყო დაკავშირებული, შეიძლება გახდეს უფრო მოქნილი აღნიშნული კუთხით. ერთი სიტყვით, სიმბოლოებზე მიმაგრებული მნიშვნელობები შეიძლება შეიცვალოს დროთა განმავლობაში, როდესაც ინდივიდები და საზოგადოება ხელახალ ინტერპრეტაციას უკეთებენ და აახლებენ მათ მნიშვნელობებს. ვფიქრობ, აღნიშნული ნათლად იქნება ასახული "Parents"-ის დიზაინებზეც.

სიმბოლური ინტერაქციონიზმი, ამას გარდა, მნიშვნელობას ანიჭებს ე.წ. „როლის მიღებას", რაც გულისხმობს სხვების პერსპექტივების გაგებას და გათვალისწინებას. სელფი, პერსონა, ინდივიდუალური ხასიათი, ყალიბდება უამრავი სხვადასხვა როლის მორგებით (Mead, 1934, 160-161). ეს მიგნება კი ცენტრალურია გენდერული როლების განვითარების ახსნის მიმართულებით. როდესაც ინდივიდები ინტერაქციაში შედიან ერთმანეთთან, უხეშად თუ ვიტყვით, ისინი აწარმოებენ მოლაპარაკებებს და ხელახლა განსაზღვრავენ, რას ნიშნავს კონკრეტული გენდერული როლის შესრულება. ამ მოლაპარაკების პროცესმა შეიძლება გამოიწვიოს ტრადიციული გენდერული მოლოდინების ტრანსფორმაცია. მაგალითისთვის, ავიღოთ ბავშვის მოვლის პრაქტიკები. თუ აღნიშნული, მანამდე, ფაქტობრივად, მთლიანად ქალის მოვალეობაში შედიოდა, მამაკაცის როლი კი ამ კუთხით მიზერული იყო, დღეს ადგილი აქვს მოცემული პრაქტიკების დანაწილების უფრო ორმხრივ გამოცდილებას, სადაც მამის როლი მკვეთრად გაზრდილია.

შემდეგი მოაზროვნე, რომლის მოსაზრებებსაც მინდა დავეყრდნო, არის ტალკოტ პარსონსი, ამერიკელი სოციოლოგი, სტრუქტრული ფუნქციონალიზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი. პირველ რიგში, განვმარტავ, რომ, ისევე, როგორც სიმბოლური ინტერაქციონიზმის შემთხვევაში, აქაც, პარსონსი პირდაპირ არ ეხება გენდერული როლების საკითხს, თუმცაღა მისი მოსაზრებები მნიშვნელოვად შემოსაზღვრავს გენდერული როლების იმდროინდელ გაგებას.

პარსონსის ჩარჩოებში ოჯახი განიხილება, როგორც გადამწყვეტი ინსტიტუტი, რომელიც ასრულებს კონკრეტულ ფუნქციებს საზოგადოების სტაბილურობისა და ფუნქციონირებისთვის. მან ოჯახის კონცეპტუალიზაცია მოახდინა ორი ძირითადი

როლის მიხედვით: ინსტრუმენტული (მიმწოდებელი და მარჩენალი) როლი და ექსპრესიული (აღმზრდელობითი და ემოციური) როლი. პარსონსის აზრით, ეს როლები ავსებს ერთმანეთს, მამაკაცები, როგორც წესი, ასრულებენ ინსტრუმენტულ როლს, ხოლო ქალები - ექსპრესიულ როლს (Parsons, 1955, 12-13).

პარსონსი ამტკიცებდა, რომ შრომის ეს დანაწილება ფუნქციონალურია საზოგადოებისთვის, რადგან ის იძლევა სპეციალიზაციის, ეფექტურობისა და სოციალური წესრიგის საშუალებას (Parsons, 1951, 103). მას სჯეროდა, რომ მამაკაცები და ქალები ბუნებრივად ერგებოდნენ ამ როლებს ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური განსხვავებების გამო.

დროთა განმავლობაში, სხვადასხვა სოციალურმა ცვლილებებმა და ქალთა განმათავისუფლებელმა მოძრაობებმა, ცხადია, გარდაქმნა ეს ტრადიციული გენდერული როლები. კულტურული დამოკიდებულების ცვლილებებმა, საკანონმდებლო ცვლილებებმა და ქალებისთვის განათლებისა და დასაქმების შესაძლებლობების გაზრდამ ხელი შეუწყო როლების უფრო თანაბარ განაწილებას ოჯახებში. შესაბამისად, დღესდღეისობით, ამ მიმართულებით გამოთქმული პარსონსის მოსაზრებები არც თთუ ისე ავტორიტეტულია. მისი მოდელი ხაზს უსვამდა გენდერული როლების შემავსებელ ხასიათს, გენდერული როლების შესახებ თანამედროვე დისკუსიები კი ხშირად ფოკუსირებულია თანასწორობაზე და ტრადიციული სტერეოტიპების ნგრევაზე. გენდერული როლების განვითარებადი დინამიკა ასახავს ცვალებად სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ კონტექსტს, აპროტესტებს ადრინდელ ვარაუდებს ფიქსირებული და ხისტი გენდერული როლების შესახებ. ამისდა მიუხედავად, მაინც საჭიროდ ჩავთვალე, რომ ნაშრომში მესაუბრა გენდერული როლების პარსონისეულ გაგებაზე, ვინაიდან, ვფიქრობ, რომ მისი მოსაზრებები იდეალურად ხსნის ტრადიციული გენდერული როლების გაგებას. შეიძლება ისეც ვთქვათ, რომ პარსონის მოსაზრებები სწორია მანამ, სანამ საზოგადოებაში დომინანტური იყო ტრადიციული გენდერული როლები.

შემდეგი კონცეფცია, რომელსაც მსურს, რომ დავეყრდნო, არის ფემინისტური სოციოლოგიური თეორია. აღნიშნული მიმდინარეობის ფარგლებში, დავესესხები ორი

მოაზროვნის, კიბლერლი ქრენშოუსა და ჯუდით ბატლერის მოსაზრებებს. კიმბერლი ქრენშოუ ცნობილია ინტერსექციურობის კონცეფციით, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი ითამაშა სხვადასხვა სოციალური კატეგორიის კომპლექსური ურთიერთქმედების გასაგებად. აღსანიშნავია, რომ თავის თეორიაში ქრენშოუ მსჯელობას ორი ძირითადი ასპექტის, რასისა და გენდერის გარშემო წარმართავს, თუმცაღა, მოცემული ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ჩემთვის ინტერესის მთავარ სფეროს უკანასკნელი მათგანი წარმოადგენს.

ინტერსექციურობა აღიარებს, რომ ინდივიდები განასახიერებენ მრავალ სოციალურ იდენტობას და ეს იდენტობები იკვეთება მათი გამოცდილების ფორმირების დროს. ქრენშოუ ამტკიცებს, რომ ცალკეული ფოკუსირება გენდერზე, იდენტობის სხვა განზომილებებისაგან განცალკევებულად, არასაკმარისია იმ მრავალფეროვანი რეალობის დასაფიქსირებლად, რომელსაც ქალები უპირისპირდებიან ყოველდღიურად (Crenshaw, 1991, 1245). ქრენშოუს ნააზრევი ხაზს უსვამს გენდერის გამარტივებული და მოძველებული შეხედულებების არაადეკვატურობას. ტრადიციული ფემინისტური ჩარჩოები ხშირად ვერ ითვალისწინებენ ქალების მრავალფეროვან გამოცდილებას მათი იდენტობის სხვა ასპექტებიდან გამომდინარე. მაგალითად, თეთრკანიანმა, მაღალი კლასის ქალმა შეიძლება სრულიად განსხვავებულად განიცადოს ესა თუ ის სოციალური სიტუაცია ფერადკანიანი მუშათა კლასის ქალბატონთან შედარებით. ინტერსექციურობის აღიარებით, ქრენშოუ გვიბიძგებს ამოვიცნოთ მრავალფეროვნება „ქალების“ კატეგორიაში და განვიხილოთ, თუ როგორ მოქმედებს სხვადასხვა სოციალური მახასიათებელი გენდერულ დინამიკაზე.

ქრენშოუს ინტერსექციურობას გვერდს ვერ ავუვლით, ორი სიტყვით თუ არ ვახსენებთ ესენციალიზმის კრიტიკასაც. ესენციალისტური შეხედულებები ითვალისწინებს უნივერსალურ გამოცდილებას, რომელიც დაფუძნებულია ერთ იდენტობაზე, იგი უგულებელყოფს გადამკვეთ ფაქტორებს, რომლებიც აყალიბებენ ინდივიდუალურ რეალობას. ქრენშოუს აზრით, გენდერის სფეროში, ესენციალისტურმა პერსპექტივამ შესაძლოა ზედმეტად გაამარტივოს ქალების გამოცდილება, იგნორირება გაუკეთოს ისეთ ნიუანსებს, როგორიცაა ასაკი, სექსუალური ორიენტაცია და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა (იქვე, 1296). ქრენშოუ მოგვიწოდებს, გადავიდეთ

ესენციალისტური აზროვნების მიღმა და გენდერულ იდენტობას შევხედოთ, როგორც კომპლექსურ სოციალურ ფენომენს.

კიმბერლი ქრენშოუს ზემოთ გამოთქმული მოსაზრებები ძალზე ნაყოფიერად შეიძლება იქნეს გამოყენებული მოცემული ნაშრომის ფარგლებშიც, რადგან ჟურნალ "Parents"-ის დიზაინებზე დაკვირვებით შესაძლებელია შევისწავლოთ გენდერული როლების ასახვა და გაგება ინტერსექციურობის ჭრილში, ანუ სხვადასხვა სოციალურ მახასიათებელთან მიმართებაში. ვინაიდანაც ნახსენები პუბლიკაცია საზოგადოების ნორმებისა და მოლოდინების ერთგვარი სარკეა, პასუხი შეგვიძლია მოვუძებნოთ ბევრ საინტერესო შეკითხვას, რაზეც ქრენშოუ საუბრობს, მაგალითად როგორ არის ასახული გენდერული როლები არამხოლოდ ტრადიციული მარკერების თვალსაზრისით, არამედ სხვა სოციალურ ფაქტორებთან მიმართებაშიც, იქნება ეს რასა, ასაკი, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, სექსუალური ორიენტაცია თუ სხვ. მაგალითად, არის თუ არა განსხვავებები, თუ როგორ არის გამოსახული მშობლის როლები ახალგაზრდა და უფროსი მშობლებისთვის ჟურნალის გარეკანებზე? არის თუ არა გარკვეული ასაკობრივი ჯგუფები უფრო მეტად დაკავშირებული კონკრეტულ გენდერულ მოლოდინებთან და როგორ იკვეთება ეს იდენტობის სხვა ასპექტებთან? როგორ არიან გამოსახული, ასე ვთქვათ, „მუშათა კლასის წარმომადგენელი" მშობლები უფრო შეძლებულ ვითარებაში მყოფ მშობლებთან შედარებით? არსებობს თუ არა სხვადასხვა ოჯახის სტრუქტურების წარმოდგენები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ტრადიციულ ჰეტერონორმატიულ მოლოდინებს? არიან თუ არა გამოსახული ლგბტქ+ მშობლები ჟურნალის დიზიანებზე? როგორ არის გამოსახული გენდერული როლები სხვადასხვა კულტურულ კონტექსტში ჟურნალის გარეკანზე? სხვადასხვა ეთნიკური წარმომადგენლობა იწვევს თუ აძლიერებს სტერეოტიპულ გენდერულ ნორმებს? ამრიგად, ინტერსექციურობაზე დაყრდნობით უფრო ძირფესვიანად იქნება შესაძლებელი იმაზე დაკვირვება, თუ როგორ განვითარდა გენდერული როლები და როგორი გავლენა მოახდინა აღნიშნულზე ისეთმა ფაქტორებმა, როგორიცაა კლასი, რასა და ა.შ.

გადავიდეთ ჯუდით ბატლერსა და მის პერფორმატიულობის კონცეფციაზე. ბატლერის თეორიის ძირითადი ფოკუსი ეფუძნება დაშვებას, რომ გენდერული იდენტობა არ არის თანდაყოლილი ან სტაბილური მახასიათებელი, არამედ ის არის

სხვადასხვა სოციალური აქტის განმეორებითი შესრულება (Butler, 1990, 14). გენდერი არის ის, რასაც ინდივიდები, ასე ვთქვათ, „ასრულებენ“ თავიანთი მოქმედებების, ქცევებისა და გამონათქვამების მეშვეობით. აღნიშნული სოციალური აქტები კი ხელს უწყობენ მამაკაცურობისა და ქალურობის შესახებ საზოგადოებრივი ნორმების აგებასა და განმტკიცებას.

ცხადია, ქრენშოუს მსგავსად, ბატლერიც უარყოფს ესენციალისტურ შეხედულებებს, რომლებიც გენდერს ფიქსირებულ და ბუნებრივ კატეგორიად ასახელებენ. ამის ნაცვლად, იგი ამტკიცებს, რომ გენდერი სოციალურად კონსტრუირებულია განმეორებითი აქტების მეშვეობით, რომლებიც ქმნიან სტაბილური იდენტობის ილუზიას (იქვე, 22). ეს ეწინააღმდეგება ტრადიციულ წარმოდგენებს, რომ ინდივიდები იბადებიან გარკვეული თანდაყოლილი მახასიათებლებით, რომლებიც დაკავშირებულია მათ სქესთან. ბატლერის აზრით, გენდერი კულტურული და სოციალური პრაქტიკის შედეგია. ნორმები და მოლოდინები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ქალი და მამაკაცი, მუდმივად მყარდება ყოველდღიური მოქმედებებითა და წარმოდგენებით.

აღსანიშნავია, რომ ბატლერის თეორია აღიარებს საზოგადოების ნორმების გავრცელებულ გავლენას, თუმცაღა, ის ასევე იძლევა დივერსიისა და წინააღმდეგობის შესაძლებლობას. ინდივიდებს შეუძლიათ თავიანთი შესრულებეული სოციალური აქტების მეშვეობით გენდერული ნორმების გამოწვევა და დარღვევა. წინააღმდეგობის ქუდქვეშ მოიაზრება დადგენილი ნორმების კითხვის ნიშნის ქვეშ დასმა და გამოწვევა, გენდერული იდენტობის ალტერნატიული გამოხატვის სივრცის შექმნა.

კვლევის ფარგლებში, შეგვიძლია დავაკვირდეთ, თუ როგორ მეორდება გარკვეული სურათები ან თემები დროთა განმავლობაში ჟურნალის დიზაინებზე. რამდენად უწყობს ხელს ეს გამეორებები კონკრეტული გენდერული ნორმების სტაბილიზაციას, როგორ დეგრადირდება ესა თუ ის გენდერული სტანდარტები დროის გასვლასთან ერთად და ა.შ.

თავი 3. კვლევის შედეგები

მამაკაცი, როგორც მხოლოდ ოჯახის მარჩენალი და მამაკაცი, როგორც მოსიყვარულე მამა



1929 და 2009 წლის ნომრები

კვლევის ემპირიული ნაწილი ძალზე საინტერესო აღმოჩნდა. ჟურნალ "Parents"-ის დიზაინების ანალიზი მართლაც ერთგვარ დროში მოგზაურობას წააგავდა. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად, გარეკანზე მამა ძალზე იშვიათად თუა დახატული, ვინაიდანაც პუბლიკაციის მიზანი ბავშვების აღზრდასთან დაკავშირებული რჩევების გაცემა იყო. აღნიშულში კი, როგორც ჩანს, ჟურნალის რედაქცია მამის როლს ნაკლებად თუ ხედავდა, ამიტომაც, 1920-იანი და 1930-იანი წლების გარეკანებზე ძირითადად მხოლოდ დედა და ბავშვები არიან გამოსახული. მსგავსი ტენდენცია მნიშვნელოვანწილად ნარჩუნდება 40 და 50-იანი წლების ნომრებშიც (40-იანი წლების პერიოდი კვლევისათვის ყველაზე უნაყოფო გამოდგა, რადგან დიზაინები ძირითადად ომის თემატიკითაა გაჯერებული). ქმარი იშვიათადაა წარმოდგენილი და როდესაც არის, უმეტესად იგი რეპრეზენტირებულია, როგორც ოჯახის ერთადერთი პროვაიდერი, რომლის ფუნქციებიც მკაცრად შემოსაზღვრულია ცოლისა და ბავშვების ფინანსური

უზრუნველყოფით. სწორედ ამაზე საუბრობდა ტალკოტ პარსონსი, როდესაც საკუთარ დაყოფაში მამაკაცს ოჯახის ინსტრუმენტულ როლს აკისრებდა. მოცემული პერიოდის დიზაინებზე გამოსახულ მამას ყოველთვის საქმიანად აცვია, უკეთია ჰალსტუხი („უბრალო“ ოჯახურ სიტუაციებშიც კი) და არასდროსაა ჩართული ოჯახურ საქმეებში. მაგალითად, საერთოდ ვერ ვიპოვე ისეთი ნომერი, რომელზეც გამოსახულია მამა, რომელიც შვილს ამეცადინებს (როდესაც მსგავსი თემატიკის დიზაინები რამდენჯერმე შემხვდა დედასთან მიმართებაში). ლაპარაკიც ზედმეტია ისეთ აქტივობებზე, როგორიცაა ბავშვის ჭამა, გასეირნება თუ სხვა. ასევე, შესამჩნევია ტრადიციული მასკულინური ელემენტების გამოვლინებაც, რომლის ყველაზე ნათელი დადასტურება 1929 წლის ნომერია - მამა, რომელიც ვაჟს ფეხბურთის თამაშს ასწავლის. ყველაფერი ეს თვით სემიოტიკურ მინიშნებებში და დეტალებშიც კი ჩანს, შეიძლება, სურათზე განსაკუთრებული არაფერი იყოს გამოსახული, მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით, იგრძნობა სწორედ ნახსენები პარსონსისეული ექსპრესიული და ინსტრუმენტული როლების მკაცრი სეგრეგაცია, მაგალითისთვის, ასეა ქვემოთ მოყვანილ 1957 წლის ნომერშიც - თეთრი კაბით შემოსილი დედა, რომელსაც ბავშვი უჭირავს და თეთრ პერანგსა და ჰალსტუხში გამოწყობილი მამა, ოჯახის უფროსი, რომელიც ისეა გადაფარებული ოჯახს, რომ მზადაა, ისინი ნებისმიერი საფრთხისგან დაიცვას. ვფიქრობ, ჟურნალის დიზაინში სწორედ ამგვარი ქვეტექსტი იმალება.

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ვითარება ეტაპობრივად იცვლება, რაც, პირველ რიგში, იმაში გამოიხატება, რომ ჟურნალის გარეკანებზე უფრო ხშირად ჩნდება მამა. ნელ-ნელა იმსხვრევა მამის პარსონსისეული ტრადიციული ინსტრუმენტული იმიჯიც და დროის გასვლასთან ერთად მამაკაცს უფრო ხშირად ვხედავთ, ასე ვთქვათ, „უბრალო“ ოჯახურ სიტუაციებში. იცვლება კონტექსტიც, თანამედროვე ნომრებში ურთიერთობა მამასა და შვილებს შორის თითქოს უფრო უშუალო და თბილია (განსახვავებით ადრინდელი ნომრებისგან, სადაც ინტერაქციას უფრო ფორმალური სახე ჰქონდა, ვიდრე ინტიმური). აღნიშნული იგრძნობა ფერებისა და ჩაცმის დონეზეც კი, 2010-იანი წლების ნომრების დიზაინებზე წამყვანია ხასხასა, ნათელი ფერები, რაც კონტრასტს ქმნის მანამდე არსებულ მამაკაცის ტრადიციულ ხატთან (თეთრი პერანგი და მუქი ფერის ჰალსტუხი). სიმბოლური ინტერაქციონიზმის პრიზმიდან თუ შევხედავთ, უკვე დასრულებული სახე აქვს იმ სოციალური მოლოდინებისა თუ ინტერაქციების რეინტერპრეტაციას, რომელიც მანამდე ექსკლუზიურად ქალებისათვის იყო განკუთვნილი. მამა უკვე ამეცადინებს შვილებს, უვლის მათ, მიჰყავს კემპინგზე და ა.შ. ჟურნალი მკითხველს ისეთ სტატიებსაც კი სთავაზობს, რომლებიც ექსკლუზიურად მამას აძლევენ რეკომენდაციებს ბავშვის მოვლასთან დაკავშირებულ ამა თუ იმ საკითხთან მიმართებაში, რაც ადრინდელ ნომრებში წარმოუდგენელი იქნებოდა. ამრიგად, მამა უკვე თანაბრადაა ჩართული ბავშვის აღზრდასა და ოჯახური ცხოვრების სხვა ასპექტებში და მამაკაცის ტრადიციული გენდერული ინსტრუმენტული სახე რეინტერპრეტირებულია თანამედროვე მამაკაცის სოციალური ფენოტიპით, რაც წარმატებული კარიერის გვერდით, გულისხმობს წარმატებულ, აქტიურ მამობასაც.

2016 წლის ნომერში სტეფ კარი საუბრობს, თუ როგორ აბალანსებს კალათბურთს და ოჯახურ ცხოვრებას. იმისდა მიუხედავად, რომ კვლევა მხოლოდ დიზაინის ანალიზს მოიცავს, არ დავმალავ და ვიტყვი, რომ ამ სტატიამ ძალზე დამაინტერესა და სრულ ინტერვიუს[1] გავეცანი. გაოცებული დავრჩი იმით, თუ რამდენადაა ჩართული საკუთარი შვილების მოვლაში კარი, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ სტატია 2016 წლისაა. აღნიშნულ სეზონში სტეფმა 82-იდან 82-ივე თამაში ძირითადიდან ჩაატარა და ამერიკის კალათბურთის ასოციაციის ყველაზე ღირებულ მოთამაშედ დასახელდა!

[1] https://www.popsugar.com/celebrity/steph-ayesha-curry-parents-magazine-june-2016-41118721

2015 და 2016 წლების ნომრები

ქალურობის ხელახალი განსაზღვრა: პასიური დიასახლისიდან წარმატებულ, აქტიურ დედობამდე

1930 და 2010 წლის ნომრები

მამაკაცთან შედარებით, კიდევ უფრო დრამატულია ის მეტამორფოზა, რასაც განიცდის ქალის გენდერული როლი “Parents”-ის დიზაინებზე 20-იანი წლებიდან დღემდე. თავდაპირველად, ქალის პასუხისმგებლობები შემოიფარგლება მხოლოდ და მხოლოდ ექპრესიული, ანუ აღმზრდელობით-ემოციური ფუნქციებით. ვფიქრობ, აღნიშნულის ყველაზე ნათელი გამოხატულება ზემოთ მოყვანილი 1930 წლის ნომრის დიზაინია. გარეკანზე ვხედავთ დედას, რომელსაც ხელი ვაჟის დაჭიმულ კუნთზე უდევს. ილუსტრაციის ქვეტექსტი გვკარნახობს, რომ დედის მოვალეობაა, ქვეყანას აღუზარდოს ძლიერი, კუნთმაგარი ვაჟკაცები. დავაკვირდეთ ჩაცმულობასაც. იმისდა მიუხედავად, რომ ბიჭი პატარაა, იგი თეთრ პერანგსა და წითელ ჰალსტუხშია გამოწყობილი, რაც მის მიმართ არსებულ მოლოდინებზე აკეთებს აქცენტს. ბიჭი მამასავით ძლიერი და წარმატებული უნდა გაიზარდოს და თვითონ გახდეს საკუთარი მომავალი ოჯახის უფროსი, ამიტომაც აცვია ასეთი ადრეული ასაკიდანვე საქმიანად. რაც შეეხება დედას, იგი შემოსილია ძალზე სადა, უბრალო ტანისამოსით. თითქოს მას უკვე აქვს ყველაფერი, რაც სჭირდება ბედნიერებისათვის.

მოცემული ტენდენცია, მნიშვნელოვანწილად, ნარჩუნდება მომდევნო რამდენიმე ათწლეულის განმალობაშიც. როგორც წესი, გარეკანებზე ვხედვათ მოსიყვარულე დედას, რომელსაც ყოველთვის აცვია სადად და უბრალოდ. დიზაინებზე გამოსახულ თითოეულ დეტალში, სიმბოლოებისა თუ ჟესტების დონეზეც კი ჩანს ქალის პასიური ოჯახური როლი, რომელიც შემოისაზღვრება შვილების აღზრდითა და საოჯახო საქმეების შესრულებით.

აღნიშნული ვითარება ეტაპობრივად იწყებს ცვლილებას 60-70-იანი წლებიდან. დროის ამ პერიოდიდან მოყოლებული, დიზაინებზე იწყება ქალის გამოსახვა განსხვავებულ, არაოჯახურ კონტექსტებში. რისი მაგალითიცაა ქვემოთ მოცემული 1977 წლის ნომერი. ყდაზე გამოსახულია დედა, რომელსაც შვილი ზურგზე ჰყავს მოკიდებული და მკაცრი ამინდის მიუხედავად, სავარაუდოდ, ლაშქრობაში მიდის. თითქოს, ქვეტექსტი დედის სიძლიერეზე უსვამს ხაზს. იგი მზადაა, შვილთან ერთად ნებისმიერი სირთულე გადალახოს.

1977 წლის ნომერი:

მომდევნო ათწლეულების განმავლობაში კი დაწყებული სოციალური რევოლუცია სულ უფრო და უფრო მძაფრდება. დედას სულ უფრო იშვიათად ვხედავთ პასიურ, ექსპრესიულ როლში. დიზაინებზე გამოსახული ქალის ხატი დროის გასვლასთან ერთად ძლიერდება და უფრო და უფრო დამოუკიდებელი ხდება. თუ 80 და 90-იანი წლების დიზაინები ამ მიმართულებით მაინც უფრო „ნეიტრალურია“ და აქცენტს ოჯახურ იდილიაზე აკეთებს (თუმცაღა, ქალის გაზრდილი როლით), 2000-იანი წლების ბოლოდან თითქოს პროცესს უკვე დასრულებული სახე აქვს. გარეკანზე უკვე ვხედავთ თავდაჯერებულ, აქტიურ დედას, რომელიც, ოჯახურ საქმეებსა და შვილების აღზრდას წარმატებულად უთავსებს კარიერასაც. ქალის ჩაცმულობა თამამი და მრავალფეროვანია, ისევე როგორც მთლიანად ჟურნალის დიზაინი. დომინირებს ნათელი და ცოცხალი ფერები. ქალი უკვე რეპრეზენტირებულია, როგორც მამაკაცის თანასწორი. მეტიც, ჟურნალის თანამედროვე დიზაინებზე იკითხება ქვეტექსტები, რომ ქალს საერთოდ არ სჭირდება გვერდით მამაკაცი, რათა იყოს წარმატებული დედა! აღნიშნულის ყველაზე აშკარა გამოხატულება, ვფიქრობ, 2016 წლის ნომერია. შავკანიანი ქალბატონი, ნავარჯიშები სხეულითა და სვირინგებით. ჟურნალი მოგვიწოდებს, რომ სვირინგები და სხეულის მკვრივი ფორმები საერთოდ არ გამორიცხავს წარმატებულ დედობას! თითქოს, ეს ერთგვარი მესიჯიცაა დედებისთვის: შვილის გაჩენა არ ნიშნავს სხეულის უწინდელი ფორმის დაკარგვას, წარმატებულ ქალს დედობა სულაც არ უშლის ხელს, რომ ფორმაში

იყოს. საინტერესოა უკანა ფონიც, ტრადიციულად, მოგვეხსენება, რომ ვარდისფერი „გოგოს“, ხოლო ცისფერი „ბიჭურ“ ფერად აღიქმება, გარეკანის ფონი კი მთლიანად ცისფერია. ჯუდით ბატლერის მოსაზრება, რომ გენდერი კულტურული და სოციალური პრაქტიკის შედეგია, ხოლო ნორმები და მოლოდინები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ქალი და მამაკაცი, მუდმივად მყარდება ყოველდღიური მოქმედებებითა და წარმოდგენებით, მგონია, რომ ყველაზე მეტად, ამ ნომრის დიზაინს შეეფერება. არცერთი სოციალური მახასიათებელი და პრაქტიკა არ არის თანდაყოლილი, ნებისმიერი მათგანი შეძენილია და ის მთლიანად ინდივიდზეა დამოკიდებული! ტრადიციული გენდერული ნორმები დამხსვრეულია, ნავარჯიშები სხეული და სვირინგები წარმატებულ დედასაც კი შეიძლება ჰქონდეს!

2016 და 2018 წლების ნომრები

ოჯახის ტიპების განვითარების დინამიკა და ჟურნალის დიზაინზე აღბეჭდილი სხვა მნიშვნელოვანი სოციალური ცვლილებები

დიზაინებზე გამოსახული ოჯახის ხატი დროთა განმავლობაში კარდინალურად იცვლება. თავიდან გარეკანზე მხოლოდ ნუკლეაურულ ოჯახებს ვხედავდით. დედა, მამა და ორი შვილი, ერთი გოგონა და ერთი ბიჭი - თითქოს რედაქტორები მკითხველს ოჯახურ იდილიას სწორედ ასე წარმოუდგნენდნენ, ეს იყო ოჯახის იდეალური ტიპი (1957 წლის ნომერი ამის აშკარა გამოხატულებაა). მაგრამ, დროთა განმავლობაში, ნუკლეაურული ოჯახის გვერდით გაჩნდა მონომშობლიანი ოჯახიც. ეს მნიშვნელოვანია კვლევის ფოკუსის მხრივაც, რადგან, ქალის გენდერული როლის ტრანსფორმაციის გარეშე, წარმოუდგენელი იქნებოდა ქალს ქორწინების გარეშე ეფიქრა შვილების ყოლაზე. თუმცა სოციალური სტანდარტები შეიცვალა და დღეს უფრო ხშირად ვაწყდებით მონომშობლიან ოჯახებს, როგორც მარტოხელა დედის, ისე მამის მონაწილეობით (ამ შემთხვევაში, ცხადია, არ ვგულისხმობ ისეთ ოჯახებს, სადაც ადგილი ჰქონდა განქორწინებას ან დაქვრივებას). ჟურნალის დიზაინებზე, 2010-იანი წლების ბოლოდან ჩნდება ლგბტ ოჯახებიც. ერთი სიტყვით, ოჯახის ტრადიციული, კლასიკური ხატი შეიცვალა. ნუკლეარული ოჯახის გვერდით, რომელიც წლების განმავლობაში ოჯახის „იდეალურ“ ტიპად იყო მიჩნეული, არსებობს ლგბტ ოჯახები, მონომშობლიანი ოჯახები და ოჯახის ყველა ეს ფორმა თანასწორად მიიჩნევა.

2019 და 2021 წლების ნომრები

პუბლიკაციის დიზაინზე დაკვირვებით შეგვიძლია სხვა მნიშვნელოვან სოციალურ ცვლილებებსაც მივადევნოთ თვალი. იმისდა მიუხედავად, რომ ეს კვლევის პირდაპირი ფოკუსი არ არის, საჭიროდ ჩავთვალე, მოკლედ მაინც მიმომეხილა ის არსებითი სოციალური პროცესები, რომელთა რეპრეზენტაციაც ჟურნალის დიზაინებზე ძალზე თვალშისაცემია. მაგალითად, ძალზე საინტერესოა, თუ როგორ ხდება ჟურნალის გარეკანზე სხვა რასის, ეთნოსის თუ აღმსარებლობის ადამიანების რეპრეზენტაცია. თუ ძალიან დიდი ხნის განმავლობაში დიზაინებზე მხოლოდ თეთრკანიან ოჯახებს ვხედავდით, 70-იანი წლებიდან ჩნდებიან სხვა რასის წარმომადგენლებიც, მაგრამ, ასე ვთქვათ, „ლიმიტირებული დოზით“. მაგალითად, განსხვავებით 1926 წლის ნომრიდან (უნდა აღინიშნოს, რო, ეს “Parents”-ის პირველი ნომერია), 1973 წლის ნომერში გამოსახული 4 ბავშვიდან ერთი შავკანიანია.



ცხადია, თანამედროვე ნომრებში უკვე აქტიურად ხდება სხვა რასის წარმომადგენელი და შერეული ოჯახების წარმოდგენა.

სხვა მნიშვნელოვან სოციალურ ცვლილებებს შორის გამოვარჩევდი აქცენტირებას გარემოს დაცვაზე. 2014 წლის ნომერი მშობლებს მოუწოდებს, რომ მათი მოვალეობაა, აღზარდონ შვილი, რომელსაც კარგად ექნება გათვიცნობიერებული გარემოსდაცვითი საკითხები - “RAISE A KID WHO CARES ABOUT THE PLANET”. უკან დახატული მწვანე ფონიც შესანიშნავად ეხმიანება მოცემული ნომრის თემატიკას.

ასევე განსაკუთრებით თვალშისაცემია ის ორიენტირი, რომელიც ჟურნალს სხეულის ფორმებზე აქვს მიმართული. ბოლო წლების ნომრებზე სულ უფრო ხშირადაა გამოსახული ჭარბწონიანი დედა. დიზაინის ქვეტექსტი ხაზს უსვამს იმაზე, რომ სილამაზის დადგენილი სტანდარტები არ არსებობს და იგი უნივერსალურია. მოცემულ 2018 წლის ნომერში ეს კარგად ჩანს არამარტო დედის, არამედ შვილების ფონზეც (გოგონა გამხდარია, ვაჟი - არა).

2018 წლის ნომერი

თავი 4. დასკვნა

ჟურნალ "Parents"-ის გვერდებზე მოგზაურობის მანძილზე მოცემული ნაშრომის ფარგლებში მოხდა გენდერული როლების ცვლილების დინამიკის ანალიზი, რომელიც თავისთავად გულისხმობს სოციალური ნორმების, ოჯახის დინამიკისა და ინდივიდუალური იდენტობების ტრანსფორმაციასაც. კვლევის დასასრულს, კიდევ უფრო აშკარაა, რომ ჟურნალის გარეკანები განიხილება, როგორც არა მხოლოდ ვიზუალური არტეფაქტები, არამედ ერთგვარი სარკე, რომელიც ასახავს ღრმა სოციალურ ცვლილებებს, თუ როგორ ხდება გენდერული როლების აღქმა და პერფორმაცია მშობლებისა და ოჯახური ცხოვრების კონტექსტში.

პუბლიკაციის დიზაინებზე მამაკაცის რეპრეზენტაცია საოცარ მეტამორფოზას ასახავს, რომელიც სცილდება ისტორიული გენდერული ნორმებით დადგენილ პირობით საზღვრებს. ადრეულ ნომრებში მამები უბრალოდ არ არსებობდნენ ან უკანა პლანზე იყვნენ გამოსახული, რითაც განასახიერებდნენ ტალკოტ პარსონსის ინსტრუმენტულ როლს - მიმწოდებელს, მარჩენალს - შეზღუდული ჩართულობით ოჯახურ სფეროში. მამის თანდათანობითი ინტეგრაცია მრავალფეროვან ოჯახურ კონტექსტში ჟურნალების გარეკანზე ასახავს საზოგადოების სვლას უფრო ინკლუზიური და სამართლიანი გენდერული როლებისაკენ. მამებსა და შვილებს შორის სიმბოლური ურთიერთქმედება, რომელიც ოდესღაც ფორმალურობითა და დისტანციით ხასიათდებოდა, ახლა სითბოსა და ინტიმურ ურთიერთობას გამოხატავს. ეს ვიზუალური მოგზაურობა ეხმიანება სიმბოლური ინტერაქციონიზმის თეორიულ ჩარჩოებსაც და როლების მოლაპარაკებას, რაც აჩვენებს, თუ როგორ უწყობს ხელს ყოველდღიური მოქმედებები ტრადიციული გენდერული მოლოდინების შეცვლას.

გარეკანების ვიზუალური ანალიზი ხაზს უსვამს ხელახლა განსაზღვრულ მამაკაცურობას, რომელიც შორდება პარსონსის გენდერული როლების სიმკაცრეს. თანამედროვე მამაკაცი, როგორც ასახულია ჟურნალის ბოლოდროინდელი ნომრების

დიზაინში, არ შემოიფარგლება მხოლოდ ინსტრუმენტული როლით, არამედ აქტიურად არის ჩართული ოჯახური ცხოვრების ექსპრესიულ განზომილებაშიც.

კიდევ უფრო საოცარია პუბლიკაციის გვერდებზე დახატული ქალის მიერ განვლილი ტრანსფორმაცია. ქალის ადრეული გამოსახულებები ორიენტირებული იყო მხოლოდ აღმზრდელ-ემოციურ ფუნქციებზე, რაც ასახავს იმდროინდელი საზოგადოების რწმენას, რომ ქალის როლი შემოიფარგლებოდა ბავშვის აღზრდითა და საყოფაცხოვრებო მოვალეობებით. 1930 წლის გამოშვება, რომელზეც დედა ათვალიერებს შვილის კუნთს, ტრადიციული გენდერული ნორმების იდეალური ნიმუშია - ქალი, რომლის ფუნქციაც ძლიერი, წარმატებული მამაკაცის აღზრდაა. ათწლეულების გავლასთან ერთად, გარეკანზე დაიწყო ტრადიციული გენდერული შეზღუდვების გადახედვა. ქალების არაოჯახურ კონტექსტში გაჩენა ქალურობის ხელახალი განსაზღვრის ნიშანია. 1977 წლის ნომერი, რომელშიც წარმოდგენილია ლაშქრობაში მიმავალი დედა-შვილი, ქალების სიძლიერისა და დამოუკიდებლობის სიმბოლოა. ამ ტრანსფორმაციის კულმინაცია 2010-იანი წლების გარეკანებზე ვხედავთ. პუბლიკაცია დედას უკვე წარმოაჩენს, როგორც თავდაჯერებულ, აქტიურ და წარმატებულ პიროვნებას, რომელიც შეუფერხებლად აბალანსებს ოჯახურ ცხოვრებას კარიერასთან. ვიზუალური გადასვლა მოკრძალებული, სადა ტანსაცმლიდან თამამ, მრავალფეროვან ჩაცმულობაზე ასახავს ტრადიციული გენდერული ნორმების რღვევას. ჟურნალის დიზაინი მძლავრ გზავნილს აწვდის - ქალის იდენტობა არ შემოიფარგლება მისი, როგორც დედის როლით; ის არის მრავალმხრივი ინდივიდი, რომელსაც შეუძლია ცხოვრების სხვადასხვა ასპექტში თავდაჯერებულობითა და წარმატებით ნავიგაცია.

ოჯახის ფორმებისა და სტრუქტურების დინამიკის რეპრეზენტაცია “Parents”-ის გარეკანებზე ასახავს საზოგადოებრივი თვითშეგნების მნიშვნელოვან ცვლილებებს მრავალფეროვნებისა და თანასწორობის მიმართულებით. ტრადიციული ნუკლეარული ოჯახი, რომელიც ოდესღაც იდეალური ოჯახის განსახიერება იყო, ახლა სცენას იზიარებს მონომშობლიან ოჯახებთან, ლგბტ ოჯახებთან და ოჯახის მრავალფეროვან ფორმებთან. გარეკანები გახდა ვიზუალური დადასტურება სხვადასხვა ოჯახური კომპოზიციების მიღებისა და სოციუმის მხრიდან აღიარებისა.

რომ შევაჯამოთ, კვლევა ემსახურება გენდერული როლების, ოჯახის სტრუქტურებისა და სოციალური ღირებულებების ცვალებადი ლანდშაფტის ვიზუალურ ანალიზს ჟურნალ “Parents”-ის დიზაინების საფუძველზე. ნაშრომის ფარგლებში დავინახეთ, რომ ოჯახში დამკვიდრებულმა გენდერულმა როლემა განიცადა კარდინალური მეტამორფოზა - მამაკაცი გათავისუფლდა ტრადიციული ინსტრუმენტული როლისგან და გახდა მეტად ინტეგრირებული შვილების აღზრდასა და ოჯახური საქმეების ასპექტში, ქალმა კი პირიქით - გადალახა პასიური, ექსპრესიული როლი და გახდა ძლიერი, დამოუკიდებელი დედა, რომელიც წარმატებით აბალანსებს კარიერასა და ოჯახურ ცხოვრებას. ვიზუალური წარმოდგენები ემთხვევა და ეხმიანება ნაშრომში წარმოდგენილ სოციოლოგიურ თეორიებსაც, ჟურნალის გვერდებზე დავინახეთ გენდერული როლების ხელახალი განსაზღვრა, რეინპრეტირება სიმბოლური ურთიერთქმედების გზით, ნათლად გამოჩნდა სხვაობა ტრადიციულ პარსონსისეულ ინსტრუმენტულ/ექსპრესიულ გენდერულ როლებსა და ბატლერის შემოთავაზებულ პერფორმატიულობას შორის, სადაც, გენდერი, როგორც სტაბილური კონსტრუქცია, არ არსებობს, ქრენშოუს ინტერსექციურობაზე დაყრდნობით კი დავაკვირდით გენდერული როლის კავშირს სხვა სოციალურ ფაქტორებთან. დასასრულს კი ვიტყვი, რომ “Parents”-ის დიზაინებზე გამოსახული ევოლუცია ასახავს საზოგადოების პროგრესს უფრო ინკლუზიური, თანასწორი და სამართლიანი საზოგადოებისაკენ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ბერძენიშვილი, ა. (2019). *თანამედროვე სოციოლოგიური თეორიები.* უნივერსიტეტის გამომცემლობა.
2. *სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი-ცნობარი.* (2004). გამომცემლობა ლოგოს პრესი.
3. წულაძე, ლ. (2020). *სოციოლოგიური კვლევის თვისებრივი მეთოდები.* უნივერსიტეტის გამომცემლობა.
4. Batler, J. (1990). *Gender Trouble: Feminism and the Subversion of Identity. Routledge Publition.*
5. Batler J. (2020). *The Force of Nonviolence: an Ethico-Political Bind*. Verso, London.
6. Blumer, H. (1969). *Symbolic Interactionism: Perspective and Method.* University of California Press.
7. Crenshaw, K. (1991). *Mapping the Margins: Intersectionality, Identity Politics, and Violence Against Women of Color.* Stanford Law Review.
8. Mead, G. H. (1934). *Mind, Self, and Society.* University of Chicago Press.
9. Parsons, T. (1949). *The Structure Of Social Action.* The Free Press of Glencoe, Illinois.
10. Parsons, T. (1951). *The Social System.* The Free Press of Glencoe, Illinois.
11. Parsons, T., & Bales, R. F. (1955). *Family: Socialization and Interaction Process*. The Free Press of Macmillan pubishing, New York.